

82

5 - 272

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ჯაფარიძე მარინა

**„ბეოვულფის“ ჟანრულ-ეპოქალური კუთვნილების
დადგენა მორფოლოგიური ანალიზის გზით**

10.01.05 – ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხა-
რისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ნათაძე

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილ. მეცნ. დოქ., პროფესორი ზ. კიკნაძე
 2. ფილ. მეცნ. დოქ., პროფესორი გ. ლებანიძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 24-ე აგვისტოს 13⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P.10.06 №8 სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., № 36.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 24-ე აგვისტოს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი დოცენტი რ. წიხითათრიშვილი

რ. წიხითათრიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი ეძღვნება პოემა „ბეოვულფის“ ჟანრულ-ეპოქალური კუთვნილების დადგენას მორფოლოგიური ანალიზის გზით.

„ბეოვულფის“ ჟანრულ-ეპოქალური კუთვნილების თაობაზე არსებობს ორი ურთიერთ გამომრიცხავი, ლოგიკურად დასაბუთებული მოსაზრება.

ერთი მოსაზრების მიხედვით ეს პოემა თავისი ხასიათით არქაული ხანის ზღაპრულ ეპოსს წარმოადგენს.

მეორე თვალსაზრისით „ბეოვულფი“ თავისი ხასიათით ფეოდალური საგმირო ეპოსის ნიმუშია.

თავისთავად ცხადია არცერთი ამ მოსაზრებათაგანი არ გამორიცხავს პოემაში მეორე ეპოქისათვის დამახასიათებელი მცირე მინარევების არსებობას.

ორივე ამ პოზიციის დასაბუთება ხდება უბრალო მსჯელობის გზით, რომელიც, როგორც ნებისმიერი ჰუმანიტარული მსჯელობა მეტნაკლებად სუბიექტური ხასიათისაა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ნახსენები საერთო საკითხის ანუ „ბეოვულფის“ ჟანრულ-ეპოქალური კუთვნილების დადგენა ობიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით. ასეთ ობიექტურ კრიტერიუმად ჩავთვალეთ ვ. პროპის მიერ ჩატარებული რუსული ხალხური ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის ანალიზის შედეგი, რომელიც ასაბუთებს იმას, რომ ჯადოსნურ ზღაპარს აქვს ვარკვეული, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა ანუ ვ. პროპის სიტყვით რომ ვთქვათ მორფოლოგია.

ამ ნახსენებ კრიტერიუმზე დაყრდნობით ჩავატარეთ „ბეოვულფის“ ანალიზი. ცნობილია, რომ „ბეოვულფი“ ხალხური საგმირო ეპოსია. ეს უდათა. ცნობილია ისიც, რომ ნებისმიერ ხალხურ ეპოსს აქვს მისთვის დამახასიათებელი მსგავსი სტრუქტურა. ამიტომ მარტო „ბეოვულფის“ სტრუქტურის ანალიზი მისი ჯადოსნურ ზღაპართან მსგავსება-არამსგავსების თვალსაზრისით არ მივიჩნიეთ საკმარისად ამ პოემის ჟანრულ-ეპოქალური კუთვნილების დასადგენად. ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად ჩვენ ჩავატარეთ კლასიკურ ფეოდალურ ხალხურ ეპოსად აღიარებული პოემის „სიმღერა როლანდზე“ ანალიზი იმავე კრიტერიუმზე დაყრდნობით ვეძებდით ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურულ მახასიათებლებს და არა საკუთრივ ეპოსისას. აღმოჩნდა, რომ ეპოსის „სიმღერა როლანდზე“ სტრუქტურას არაფერი აქვს საერთო ხალხური ჯადოს-

1943